გიორგი გეგელაშვილი

ნევროლოგი, კლინიკური ფარმაკოლოგი, ჯანდაცვის ხარისხის მართვის ექსპერტი.

დაიბადა 1958 წელს ქუთაისში, ექიმი ნევროლოგის და მუსიკოსის ოჯახში. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი და სამი შვილიშვილი. 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

ინსტიტუტის შემდგომი განათლება: ისრაელი – ტექნიონის უნივერსიტეტი; დანია – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სასწავლო ცენტრი; ნიდერლანდები – მაასტრიხტის უნივერსიტეტი; პოლონეთი – იაგელონის უნივერსიტეტი; აშშ – საავადმყოფოთა ხარისხის აკრედიტაციის სასწავლო ცენტრი.

კლინიკური ნევროლოგია: პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი – კლინიკური ორდინატორი, მეცნიერ მუშაკი, მთავარი ექიმი, სამედიცინო დირექტორი. ამჟამად მუშაობს "დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრში".

ფარმაკოლოგია, ფარმაკოუსაფრთხოება: ფარმაკოლოგიის კათედრა, ექსპერიმენტატორი: აღმოაჩინა კობალტის პრეპარატის სპაზმოლიზური მოქმედება (გამოგონება N1575549, 4.12.1987). სწავლობდა ტოლფენამის მჟავას (კლოტამი) შაკიკის შეტევის მკურნალობაში. იკვლევდა პროსტაგლანდინებს თავის ტკივილის დროს. ხელძღვანელობდა პრეპარატების: სტუგერონი, ნოოტროპილი, ფრიზიუმი, ტეგრეტოლი, პილადოქსი, ამირიდინი, მილდრონატი, სირდალუდი, ნიმოდიპინი და სხვა კლინიკურ კვლევებს. ბრიტანულ-საბჭოთა ერთობლივი საწარმო "უნიფარმის" მთავარი ფარმაკოლოგი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის "წამლის პოლიტიკის" პროგრამის ფარგლებში შექმნა გზამკვლევები: "თავის ტკივილის მკუნალობა", "უნებლიე მოძრაობების მკურნალობა", "ნევროლოგიური დაავადებების მკურნალობის უსაფრთხოება ორსულობის და ძუძუთი კვების დროს". კითხულობს ლექციებს პაციენტთა და მედიკამენტურ უსაფრთხოებაში. მიღებული აქვს ჯანდაცვის სისტემების, ერგონომიკის და პაციენტთა უსაფრთხოების კონფერენციის (HEPS 2008) პირველი პრიზი (სტრასბურგი, საფრანგეთი).

საზოგადოებრივი საქმიანობა: საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (2004-2008). "პაციენტთა უსაფრთხოების საქართველოს ალიანსი" – თავმჯდომარე. „ტკივილის შესწავლის საქართველოს ასოციაცია" – მრჩეველი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პაციენტთა უსაფრთხოების ცენტრის (ჩიკაგო, ოუკბრუკი, აშშ) მმართველი კომიტეტის წევრი.

გამოქვეყნებული ნაშრომები: "მედიკამენტური მკურნალობა და პაციენტთა უსაფრთხოება" – განმარტებითი ლექსიკონი და საუკეთესო პრაქტიკა; "დასახელებით მსგავსი მედიკამენტები"; "პაციენტის სამახსოვრო"; "პაციენტთა და მედიკამენტური მკურნალობის უსაფრთხოება" – საერთაშორისო რეგულაციები; "სამედიცინო შეცდომა, პაციენტთა უსაფრთხოება და კანონმდებლობა"; "ჯანმრთელობის დაცვის სისტემა საქართველოში"; "ორსულობა და უსაფრთხო წამალი", "შაკიკის საიდუმლო", "შაკიკი და დაძაბული ტიპის თავის ტკივილი – დიაგნოზი, მედიკამენტური მკურნალობა".

ტელ: +995 (32) 2 19 02 19, +995 (599) 559 003 gegelashvili@gmail.com www.gaps.ge